

საქართველო


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით

№45 (1675)

23-29 ივნისი, 1998 წ.

● ღირსი 50 თეთრი

სოციალისტების დამარცხებით რჩეული ხვილის სახელისუფლებო ბრძოლი დაიწყო (!?)



მეორე გვერდი

ბრძოლა წესების გარეშე

მონის სინდრომი, ანუ
გაგონო პრეზიდენტო,
უფრთხილდით
მონებს...



მესამე გვერდი

ვჭამოთ თუ არა
თურქული ფქვილის
პური? - ამას
მხოლოდ ფრანგები
თუ გვეჩვენებენ...



მესამე გვერდი



ერის გაბთლიანების
უამრავი რეზერვი
არსებობს, მათგან
უმთავრესია
პრეზიდენტობის
კანდიდატთა ფონდი

მე-11 გვერდი

ვის რად
უნდა
ღარიბი
ქვეყნის
მდიდარი
სელისუფლება...

მესამე გვერდი

კითხვულთა საუკაღმაროდ,
გაფხულის
თვეებთან
დაკავშირებით
ღვიღან გაგებით
გამოვა კვირამც
ერთხელ,
სამშაბათობით

**მონის სინდრომი,
ანუ ბატონო
პრეზიდენტი,
უფროსილით
მონებს!**

გიორგი ჯაფარიძე

თითქოს შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ ქართული მწერლობის ორი კლასიკოსის მიერ დახატული "მონათა" ტიპები, ლუკათა და სხვა-სხვა და პაკი აქტივები, აფხაზები არიან. ჩვენი წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ისინი თავიანთი მონური კომპლექსებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ორივე მათგანი კომპლექსები აფხაზეთში, სწორედ რომ ერთდროულად და კომპლექსურად იჩენს თავს. მათ თავიანთი "ფარაონის", არიონბას მიმართ პაკი აქტის კომპლექტი აქვთ, ხოლო რუსეთის მიმართ, ისევე, როგორც მათ "ფარაონს" — ლუკათა და სხვა-სხვა. გარდა ამისა, აფხაზეთში მცხოვრებნი და დამონებული ქართველების მიმართ ყოველი მათგანი თავს ფარაონად გრძობს და, როგორც აღვნიშნეთ, გაფარაონებული მონა უფრო სასტიკია, ვიდრე ნამდვილი ფარაონი.

არსებობენ თუ არა ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები, რომლებიც თავისუფალნი არიან მონური კომპლექსებისაგან? დიას, არსებობენ. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც დიდი სულიერი ძალისხმევით შედეგად ირწმუნეს ტყეში პარიტი ღებრითი და ღვთის შენცენით თავიანთი თავი გარდაქმნეს, ანუ თავად განიხორციელეს „გენური ინჟინერია“.

მერბ კოსტავა ამბობდა, თვით ციხის ჯურღმულეებშიც კი თავისუფალი ადამიანი ვიყავი. ამ შინაგანმა თავისუფლებამ, საკუთარ სულში მონის ჩაკვლამ გადაარჩინა და უკვდავო იგი. იგივე გადაარჩენს და უკვდავოც საქართველოს.

მონის კომპლექსისაგან თავისუფალი კაცი ქედმოხროვი და უღალატო მისი მხარისადაა და მარტო ქვეყნისათვის ძალიან და იმედის მიმცემია. ზვიად გამსახურდია სწორედ იმან დაღუბა, რომ დაეყრდნო „მონებს“ და არა თავისუფალ ხალხს, რამაც საშუალება მისცა „მონების“ სხვა კატეგორიას, დაემხოთ იგი. ღებრითა ნუ ქნას, იგივე განმეორდეს საქართველოში.

სულიერი მონობისა თუ თავისუფლების პრობლემამ ჯერ კიდევ უშიშროების კომიტეტში მუშაობის დროს დამაფიქრა, რამაც უფლებებში შეზღუდული თანამშრომლისათვის მიკითხვას, რატომ არ თხოულობ იმას, რაც კანონიერად გვეუფუნის-მეთქი, მას კი უპასუხია, უფროსებმა ჩემზე კარგად იციან, რა მეუფუნის და რა არაა.

სულის თავისუფლებისა და მონობის საკითხი, მეცნიერული კვლევის საგანია, რაც კომუნისტური რეჟიმის დროს შეუძლებელი იყო, რათა ხალხი საკუთარ სულიერ მონობაზე არ დაფიქრებულიყო. ალბათ, გესმოდებოდა, დიდი საბჭოთა რევოლუციის მიხედვით მონის ანტიფაშისტური დოკუმენტური ფილმი „რევოლუციური ფაშისტები“, რომელიც ეკრანზე გამოსვლის თვეზე აიკრძალა, რადგან ხალხმა გერმანულ ფაშისტში, ანალოგიით, საბჭოთა ფაშისტში დაინახა.

ვამთავრებ რა ამ წერილს, ვუახლოვდები მიზანს, რამაც ის დამაწერინა და მიემართავ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს:

— ბატონო პრეზიდენტო, უფროსილით მონებს, ენდეთ თავისუფალი ხალხს და თქვენ თავისუფალი ხალხისა და ქვეყნის პრეზიდენტი იქნებით.

ილია ბარამიძე

რედაქციისთვის: საგულისხმოა წერილის ავტორის აზრი მონური ფსიქიკის შესახებ, ერთი კაცის (პროფესორის) გაფიქრების სინდრომზე, რომელიც, სამწუხაროდ, ისე გავრცელდა, როგორც დღეს ქართველთა უმრავლესობას, რომ იმ ერთი კაცის მიღმა ქვეყანაზე თავს დატყუბულ უბედურებას ღამის ვერ ვამჩნევთ, მკითხველმა რომ უფრო გაიკვიროს წერილის არსი, კარგი იქნება ჩვენმა ტელევიზიამ მ. რომის ფილმი „რევოლუციური ფაშისტები“ გაუშვას ეთერში.

ის უპიკასიონა და სახელმწიფო დალაშქრა

დღეს საქართველოს ყველა მხრიდან უტყვის მტერი და ნახევრადმოყვარეც, რომ მიწაწყლის ნაწილი „ოსეთად“ გამოგაცხადებინოს და ჩვენს სხეულის ნაწილზე კორეასა და გერმანიასავე თითქოსდა „ორად გაყოფილი“ ახალი ერი — ოსი ერი შექმნას.

რატომ უნდათ ეს ან ერთთ ან მეორეთ?

რუსეთს ეს იმისათვის უნდა, რომ **ჯერ ერთი**, საქართველოს სხეულში შენელებული მოქმედების ნაღმი ჩადოს. **მეორედ**, იმისათვის რომ კავკასიონის ქედის სამხრეთით თავისი ერთგული დასაყრდენი შეიქმნას სამომავლოდ. **მესამედ**, იმისათვის, რომ ამ ეტაპზევე, ნავთობ-სადენის და დასავლეთ-აღმოსავლეთის „დერეფანს“ გაყვანის პროცესში სამხედრო პროვოკაცია მოახერხოს, ცხინვალისა და ახალქალაქმდე ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინოს და როგორც საქართველო, ისე „დერეფანი“ შუაზე გადაჭრას. ამის შესახებ დაუფარავად წერს რუსული პრესა, საიდანაც ერთ პატარა ნიმუშს ქვემოთ ვებეჭდავთ რუსულ ენაზე.

დასავლეთსაც თავისი მიზნები

აქვს. **ჯერ ერთი**, მას უნდა და ახლაც უნდა პრეცედენტის შექმნა, რათა კოსოვოში (იუგოსლავია) ალბანელების ავტონომია აღდგეს, მას უფლებები გაუფაროვდეს და ამით შესუსტდეს სერბიის ისტორიული ეროვნება — რუსეთის პოზიციები ევროპაში. **მეორედ**, მას უნდა პრეცედენტის შექმნა, რათა ტრანსილვანიაში (რუმინეთი) ფართო უფლებები, უფრო მეტიც, ფაქტობრივი დამოუკიდებლობა ჰქონდეს ორმოციანი უნგრულ დიასპორას. ყველა ამ ევროპულ ინტერესს თავისი მომხრე და მონინააღმდეგე ჰყავს. მაგრამ ვის აქვს უფლება ამ ინტერესებში საქართველოს აწილი და მომავალი სათამაშო ქაღალდად გამოიყენოს?

რას მოუტანს საქართველოს „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა?

პირველი, ჩვენი მტრების გააფთრებულ ბრძოლას, ორი რუსეთის გაერთიანებისათვის.

მეორე, საქართველოში ახალი „აზერბაიჯანისთვის“, ახალი „სომხეთისთვის“, ახალი „საბურძნეთისთვის“ ბრძოლის ინსპირირებას და ნაქეზებას ჩვენი სახელმწიფოს მტრების მიერ, ანუ მათ გამარჯვების

შემთხვევაში საქართველოს დამლას. რატომ არა აქვს უფლება არავის, რომ საქართველოს „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა მოსთხოვოს, ხოლო საქართველოს არც პრეზიდენტს, არც პარლამენტს არა აქვთ უფლება, ამ მოთხოვნას დაუთმონ?

პირველი, იმიტომ, რომ არანაირი „ოსეთი“ საქართველოს მიწაწყალზე ისტორიულად არ იცის. „ოსეთი“ საქართველოში, მხოლოდ ოკუპანტებმა შექმნეს 1922 წელს და მას დღემდე არც ერთი დღე არ უარსებია ოკუპანტის (რუსის) ჯარების იქ დგომის გარეშე.

მეორე, იმიტომ, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც ამბობდეს, რომ ეროვნულ უმცირესობას ტერიტორიული ავტონომია მიეცეს, როცა იგი ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალში უმრავლესობა გახდება.

მესამე, იმიტომ, რომ არც შევარდნამ, არც „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო პროგრამაში არ ყოფილა ნათქვამი, რომ ისინი „სამხრეთ ოსეთის“ შექმნას აპირებენ. ამგვარად, მათ ამისთვის ამომრჩევლის რწმუნება არა აქვთ.

მეოთხე, დღევანდელი პარლა-

მენტი შედგენილია საქართველოს არჩევნებზე მისული ამომრჩევლების მხოლოდ მხოლოდ 37%-ით. მასსადამე, იგი მხოლოდ უმცირესობის ნდობით სარგებლობს.

მეხუთე, პრეზიდენტს არა აქვს უფლება საქართველოს სახელმწიფოებრივი მონყობის საკითხების გადაწყვეტისა. ეს მხოლოდ საერთო-სახალხო რეფერენდუმის კომპეტენციაშია.

საქართველოს პრეზიდენტი დღეს მის ხელთ კონსტიტუციის მიხედვით არარსებელი უფლებების უზურპაციას ახდენს. იგი საქართველოს წინააღმდეგ შექმნილ საერთაშორისო შეთქმულების მონაწილეა. მისი ეს მოქმედება სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა, როგორც სახელმწიფო დალაშქრა.

საერთო-სახალხო ხელშეწყობა კამპანია მისი მოქმედების დეზაფურების მიზნით დღეს აუცილებელია, რათა საქართველოს ხელისუფლებამ მისი დალაშქრის შედეგად დაკარგული იურიდიული პოზიციების აღდგენა შეძლოს მომავალში.

ნოზარ ნათაძე


ЕЩЕ ОДНА МИНА ПОД ГРУЗИНСКИЙ НЕФТЕПРОВОД

газ. "Южная Осетия" от 21 июня 1997 г.

Эксперты не исключают, что Цхинвал поддержит Сухуми

Обострение российско-грузинских отношений даст повод многим военным аналитикам просчитывать все возможные последствия военного конфликта Тбилиси и Сухуми. Не исключено также, что проблемы могут возникнуть и на осетинском направлении. Причем отмечается, что именно осетинские формирования были первыми, кто нанес грузинам серьезное поражение в ходе двухлетней войны. Дело в том, что грузинская армия в этом районе была вынуждена вести горную войну, где каждый населенный пункт превращался в крепость.

В настоящий момент молодые цхинвалцы, прошедшие службу в



рядах советской армии, хорошо вооружены и имеют достаточно большое количество боеприпасов. Но у них нет тангов (по данным грузинской стороны, сейчас насчитывается не более 50 единиц другой бронетехники). Известно, что

военная подготовка цхинвалцев достаточно хороша. Однако система снабжения из Владикавказа неважна. Пять грузинских сел на дороге между Цхинвалом и Джавой, отрезающие столицу региона от Северной Осетии, превращены в непроходимый укрепрайон, для преодоления которого осетинским частям понадобится две-три недели.

Поэтому нельзя исключать того, что осетины прибегнут к очень „болезненной“ для Тбилиси операции. Дело в том, что неподалеку от нынешней демаркационной линии на расстоянии пяти километров проходит трубопровод, по которому Шеварднадзе рассчитывает перегонять в Турцию каспийскую нефть. Для того, чтобы парализовать эту „жизненную артерию“ на длительное время, не обязательно непосредственно контролировать

трубу. Достаточно всего лишь одного выстрела из пушки или гранатомета.

Учитывая сложность внутриполитического положения в осетинской общине и особые отношения Цхинвала с Сухуми, можно смело предположить, что в случае начала вооруженного конфликта Тбилиси с Сухуми может открыться еще один фронт в Цхинвале. Причем осетины могут лишиться Грузии в ходе конфликта главного ее внешнеполитического козыря — претензий на нефтяной транзит. Выдержит ли такую нагрузку грузинская армия, и станет ли Москва разыгрывать еще и „осетинскую карту“ против Шеварднадзе, покажет ближайшее время.

Евгений Крутиков, "Сегодня", 5.06.97г.

მისამი გვერდიდან

ელს არ ახსენებენ. ცხადია, ამის დამნერს და დამბეჭდავს ძალიან უნდათ ჩააგონონ მეგრელებს და სხვებს, რომ ისინი ქართველები არ არიან. მათ დიდი სურვილი აქვთ, ამაში მთელი მსოფლიოც დაეარწმუნონ. მაშინვე იქვე, საქართველოში ქართველები, თითქოს, არ ცხოვრობდნენ ათასი წლის წინ. საქართველოს მოსახლეობაში პირველად აღვჩნებულ დასავლურულა აფხაზები, ვითომც აფსუების ნინაპრები. ამდენად, საფუძველს უქმნიან, თუ განუშტოვებენ ქართველი ერის არსებობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ პროგრამას — „საქართველო ქართველების გარეშე“. ამის შედეგია ის, რომ აფხაზეთში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ სომხური საზოგადოება „კრუნვი“ და ბალრამიანის (სომხურად ითქმის ბალრამიანი და არა ბაგრაშიანი) ბატალიონი. სომეხთა გარკვეულ წრეებს (ჩვენდა სამუნაროდ, ეს წრეები საკმაოდ მრავალრიცხოვანია), როგორც ჩანს, ადრევე ჰქონდათ ჩაფიქრებული, ხელი შეეწყობათ აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორებისთვის, რათა აფხაზეთში საბოლოოდ სომეხები გამბდაოყვნენ გაბატონებული ელემენტო, როგორც ეს მოახერხეს ჯავახეთში და XIX საუკუნისა და XX ს-ის დასაწყისის თბილისშიც.

დიდგორს როგორ „დაატრიალებთ“, თუ ხალხს არ ეტყვიან, რა არის დიდგორს...

სომხურ ენციკლოპედიაში აფხაზეთის შესახებ კარგი არაფერი ეწერებოდა და გამაფრთხილა: ყოველ შემთხვევაში, სომეხებზე ორ სიტყვას ცულს რომ იტყვი, ხუთი სიტყვა კარგი უნდა თქვაო. მასპინძელს, თანაც შეიარაღებულს, ხომ ვერ ვანყენებდით და გადევნებდით დარჩენილ ნუთებში ჩემი მოხსენების ახალი ვარიანტი მომეფიქრებინა — კერძოდ, აქცენტად გადამეტანა იმაზე, რომ ქართველებსა და სომეხებს შორის XIX-XX სს-ში რაც დაპირისპირება წარმოიქმნა, ეს სულ რუსეთის იმპერიის ვერაგული პოლიტიკის შედეგია. ძალიანაც არ ვაზვიადებდი. მართლაც, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ყოველი დიდი ცდილობდა საქართველოში სომეხებისა და ქართველების ნაქედებას (თანაც ისე, რომ ამ ბინძურ საქმეში ქართველების წინააღმდეგ დასაყრდენად სომეხებს იხიდა) და მიზანსაც აღწევდა.



რუსეთზე ცუდი არაფერი წამოცდესო, ე. ი. სიმართლის თქმისგან თავი შეიკავეო, აღნიშნე, რომ რუსეთმა გადაგვიჩინა და კვლავაც მისი იმედით უნდა ვიყოთო, რუსები ნამდვილად ქართველების უფროსი ძებნაიო. მეც, რაკი აქცენტო რუსეთის იმპერიის ვერაგული პოლიტიკას საქართველოსთვის სიკეთე არ მოუტანია და არც მოუტანს. ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად სხვა გზის გამოიხატვა საჭირო კერძოდ, აუცილებელია თითოეულ ქართველს გავუთავისუფლოთ აზრი, რომ პირადად მისი ძალისხმევაა მეტისმეტად საჭირო სამშობლოს სწისათვის, — აუცილებელია ვაქციოთ თითოეული ქართველი საქართველოს ბედის მჭვრელად. ამ მხრივ საქართველოზე გაცვილიებით უკეთეს მდგომარეობაა სომეხთში, მაღვით სომეხი ხალხი უფროა შემართული თავისი ქვეყნის გადასარჩენად, ვიდრე ქართველი ხალხი — საქართველოს სწისათვის. ადრე პირიქით იყო, სომეხებმა ვერ გაუძლეს მტრის შემოტევებს და იძულებულნი გახდნენ XI საუკუნიდან სხვა ქვეყნებში გადახვენილიყვნენ, ქართველებმა კი XIX საუკუნედე ათასი წვითა და დაავით, უწომო სისხლისა და ოფლის ფასად მოიტანეს ქართული სახელმწიფოებრობა, რთაც დიდი ამაგი დასდეს სომეხთის მკედრებით აღდგენასაც.

ბატონო პარლამენტარებო!

ძალიანაც საჭიროა და აუცილებელია

გაგარამობა ვე-11 გვერდზე

გულ პოლიტიკაზე გადავიტანე, ამიტომ შემანყვეტინეს მოხსენება. იმის შემდეგ არც არავის მივუპატივებდნენ ქართველ მეომრებთან, რათა მეთქვა მათთვის მართალი სიტყვა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს შორეულ თუ ახლო წარსულზე. ეტყობა, პოლიტიკურად მოუშვადებლად, მოუშვივებლად, არასაიმედოდ მიმიჩნეს. უფრო ადრე, ცოცხალს საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაც ვერშაობდით, მაგრამ მათმუხანამ იქედნაც წამოვსულიყავი. ოღონდ საქართველოს ეშველოს, ოღონდ ქართული ჯარი გახდეს. ბრძოლისუნარიანი და არამტეთ არ ვიტყვი, გულშიც არ

გულ პოლიტიკაზე გადავიტანე, ამიტომ შემანყვეტინეს მოხსენება. იმის შემდეგ არც არავის მივუპატივებდნენ ქართველ მეომრებთან, რათა მეთქვა მათთვის მართალი სიტყვა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს შორეულ თუ ახლო წარსულზე. ეტყობა, პოლიტიკურად მოუშვადებლად, მოუშვივებლად, არასაიმედოდ მიმიჩნეს. უფრო ადრე, ცოცხალს საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაც ვერშაობდით, მაგრამ მათმუხანამ იქედნაც წამოვსულიყავი. ოღონდ საქართველოს ეშველოს, ოღონდ ქართული ჯარი გახდეს. ბრძოლისუნარიანი და არამტეთ არ ვიტყვი, გულშიც არ

SPORT

სპორტის სამყარო

SPORT

ფაქობიზაბი თანდათან თავიანთ თავაშს პოულაბენ

A ჯგუფი

ბრაზილიის ნაკრები

მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებმა დაიბევა მერვედფინალში ადგილი. გუნდმა პირველი თამაში მიმდებარა-ტარა. როგორც ეტყობა, ის ავანსები, რომლებიც ბრაზილიის ნაკრებს ჰქონდა ტურნირის დაწყების წინ, მიმე ტვირთად აწვევბოდა გუნდის თამაშს. საკვირველი ის არის, რომ მათ მიერ ჩატარებული პირველი მატჩი ყველაზე სანტიერესო აღმოჩნდა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში გამართულ გახსნით მატჩებს შორის. რაც შეეხება მეორე თამაშს, აქ უკვე ნათლად წარმოჩნდა ბრაზილიის ნაკრების ძალა. მართალია ისინი მაროკოს გუნდს ეთამაშებოდნენ, მაგრამ ბრაზილიელთა სათამაშო დისციპლინამ, ტექნიკურმა და რგოლებს შორის ურთიერთშეთანხმებულმა თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ყველაზე მთავარი, გამოჩნდა თამაშის გაუმჯობესების პერსპექტივა.

შოტლანდიის ნაკრები

ამ გუნდს მსოფლიო ჩემპიონატებში ასე კარგად ვერ არ უასარუნია. პირველ მატჩში ისინი მსოფლიოს ჩემპიონებს ეთამაშებოდნენ. მიუხედავად ამისა, გუნდმა ყველაფერი გააკეთა, მაყურებელთათვის კარგი თამაში რომ ეჩვენებინა, რაც მათ საკმაოდ კარგად გამოუვიდათ. შოტლანდიელთა ასეთ თამაშს არავინ ელოდა, ისინი მხოლოდ ერთი ბურთით დამარცხდნენ და თანაც მეორე გოლი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით, რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ გავიდა. რაც შეეხება მეორე თამაშს, შოტლანდიელებმა ნორვეგიელებთან ჩაატარეს და საკმაოდ კარგადაც. სიმართლე ითქვას, ამ მომენტში ფავორიტად ნორვეგია ითვლებოდა, თუმცა შოტლანდიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სათამაშო ინიციატივას ფლობდნენ და მონიშნალმდევე გუნდს დიდი ჯაფა დაადგა თამაშის გასაყიამბლად.

მაროკოს ნაკრები

ეს გუნდი ყველაფერ აუტისაიდერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პირველსავე თამაშში მათ ოდნავი ილბალიც რომ ჰქონოდათ, ნორვეგიის ნაკრებს უსათუოდ დაამარცხებდნენ. რაც მთავარია მათ ორჯერ მიჰყავდათ ამ მატჩში ანგარიში და მაროკოს გუნდს გამოუცდელობამ ვერ მისცა შესაძლებლობა ბოლომდე მიეყვანა ეს საქმე. რაც შეეხება მეორე მატჩს, ისინი მსოფლიო ჩემპიონებს ეთამაშებოდნენ და ჯერჯერობით მაროკოს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუნიოს ბრაზილიის ძლიერ ნაკრებს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მატჩში ბრაზილიამ ძლიერად ითამაშა და როდესაც ამ გუნდს თამაში მისდის, მათი დამარცხება თითქმის შეუძლებელია.

ნორვეგიის ნაკრები

ასეთ სუსტ თამაშს ნორვეგიელებსაგან არავინ ელოდა. ისინი ხომ ჩემპიონატზე ფავორიტების რანგში გამოდიოდნენ. თუმცა პირველივე მატჩმა დაგვანახა, რომ ამ გუნდის სიძლიერე

გასრულდა მსოფლიოს თასის ჯგუფური ტურნირის მეორე წრე. პირველი წრისგან განსხვავებით ამჯერად თამაში უფრო სანტიერესო ორთაბრძოლებში მიმდინარეობდა. როგორც ეტყობა, გუნდებს მიმე ტვირთად აწვით პირველი თამაშების ფსიქოლოგიური სიმძიმე. აქედან გამომდინარე გასაგებია უდიდესო თამაშები ჩემპიონატის ფავორიტების მხრიდან.

გამოტემა - მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი გუნდები არ არსებობენო, ნაღდად გამართლდა და საფუნბურთო ჭეშმარიტება მეორე წრეშიც დადასტურა, თუმცა სათამაშო კლასში განსხვავება ყველა თამაშში იგრძნობოდა, თუ მაღალი კლასის გუნდები თავისი ოსტატობის წყალობით ცდილობდნენ ფონს გასვლას, სუსტი გუნდები მინდობებისა და თავდალების ხარჯზე ცდილობდნენ დაპირისპირებოლენ ფუნბურთის მინსტრუს.

ასე და ამჯერად ჩემპიონატი მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით დაიწყო და დღესაც გრძელდება. როგორც ეტყობა, სუსტ გუნდებს თავიანთ ქვეყნებში საკმაოდ დიდ პოპულარებას შეჰპირდნენ და როგორც იტყვიან, ფული ყველაფრის წამალია, გუნდებიც გაორმაგებული ენერგიით ებრძვიან ერთმანეთს. ამას ერთვის თავმოყვარეობისა და თავისი ქვეყნის ღირსების დაცვა და თუ ასე გაგრძელდა, ჩემპიონატს ინტრიგა არ მოაკლდება. ხოლო ფუნბურთის გულშემატკივრები ინფარქტის დონემდე მივლენ.

მთიი უფრო იყო. როგორც ეტყობა, ნორვეგიელები მთელ თამაშებს საკმაოდ საფუძვლიანად გეგმავენ და თუ მონიშნალმდევე გუნდმა თავისი თამაში მოახვია თავს, ისინი ბრინჯებივით იბნევიან, აქედან გამომდინარე ძალზედ უსუსურად გამოიყურებიან. ასეთი თამაშით ნორვეგიელები შორს ვერ წავლენ და ცოტა ხანში ისევ იმ რიგით გუნდად ჩამოყალიბდებიან, როგორებიც ამ სამიოდე წლის წინ იყვნენ.

B ჯგუფი

იტალიის ნაკრები

ჩეხარე მაღლინის უცნაურმა გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო იტალიელთა გუნდის ფანები. მან ხომ რამდენიმე ძლიერ ფუნბურთელს უარი უთხრა საფრანგეთში წაყვანაზე. ფუნბურთის სპეციალისტები თავიდანვე გეგმავდნენ იტალიელთა სუსტ თამაშს, რაც პირველსავე მატჩში გამართლდა. მათ ხომ ჩილელებთან მატჩში მსაჯის შეცდომის შედეგად გაათანაბრეს *ანგარიში, რამაც დიდი მოტემა-მოტემა გამოიწვია ფუნბურთის სამყაროში. სამაგიეროდ მეორე მატჩში იტალიამ ნამდვილი საჩემპიონო თამაში იჩვენა. ამჯერად კარგად გამოიყურებოდა მათი დაცვის ხაზი, ეფექტურად მოქმედებდა შემტევი ხაზიც. ხოლო დელ პიროს შემოსვლის შემდეგ გუნდმა კარგი კომბინაციური თამაში გააჩაღა და მონიშნალმდევე გუნდს შანსი არ დაუტოვა. თუ ასე გააგრძელებს იტალიის ნაკრები, მას დიდი შანსები ექნება ფინალში გასვლისა.

ჩილეს ნაკრები

ჩილეს ნაკრებს ძალზედ ძლიერი წინა ხაზი ჰყავს. პირველ თამაშში მათი მოქმედება ბევრ თავსატეხს უჩენდა იტალიელთა დაცვას. სამორანოსაგან კარგ თამაშს ჩვენ მიჩვეულები ვართ, მაგრამ რასაც იმ დღეს სალაასი აკეთებდა, ნამდვილ სიურპრიზად იქცა იტალიელთა დაცვისათვის. ჩილელებმა ხომ პირველი თამაში მსაჯის უხეში შეცდომის შედეგად ფრედ დაამთავრეს. თუმცა ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ გამარჯვებას.

მეორე თამაში კი ავსტრიის ნაკრებთან მათ საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარეს. მთელი თამაშის მანძილზე მათ უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰარვია. აქაც, როგორც პირველ თამაშში, თავი გამოიჩინა ჩემპიონატის ერთ-ერთმა ბომბარდირმა სალასმა. სამორანოს მიერ თავით გაგზავნილ ბურთს მან კარში მიუჩინა ადგილი. ჩილელთა სამსუხაროდ ავსტრიის ნაკრები კერკეტე კაკალი აღმოჩნდა. მათ სულ რამდენიმეჯერ დაარტყეს ჩილელთა კარის მიმართულებით და ერთ-ერთ ეპიზოდში საკმაოდ ლამაზი გოლიც გაიტანეს. სამსუხაროდ, ჩილელთა კარგმა გუნდმა მეორე თამაშშიც ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

აფრიკის ნაკრები

აფრიკის კონტინენტზე ფუნბურთი რომ საკმაოდ განვითარდა, კარგად

მოგვეხეხნებათ. გულშემატკივრები კამერუნელთა მხრიდან ძლიერ თამაშს მოელოდნენ. მაგრამ ეს გუნდი ხომ ყველაზე ახალგაზრდაა მსოფლიო ჩემპიონატზე და როგორც ეტყობა, მხოლოდ ეს არის მიზეზი მათი სუსტი თამაშისა. კამერუნელთა სამსუხაროდ მათ ორ თამაშში მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლეს. ისიც უსახური თამაშის შედეგად, ხოლო მეორე თამაშში კი იტალიის გუნდმა თითქმის გადაუარა ამ ძალზედ პერსპექტიულ გუნდს.

ავსტრიის ნაკრები

ავსტრიას ძლიერი გუნდი თითქმის არასდროს ყოლია. ასეა ამჟამადაც ისინი მხოლოდ დიდი ნებისყოფის ხარჯზე გადიან ფონს და უფერულ თამაშს აჩვენებენ. როგორც ეტყობა, ისინი ვერ გავლენ ამ ქვეჯგუფიდან და ყველაფერი ეს მათ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ.

C ჯგუფი

საფრანგეთის ნაკრები

ეს გუნდი ჩემპიონატის მასპინძელია და ჩემპიონობის უშუალო პრეტენდენტიც. მთელი წლის მანძილზე გუნდი მხოლოდ ამ ტურნირისთვის ემზადებოდა. აქედან გამომდინარე პირველი ორი თამაში მათ ძალზედ ძლიერად ჩაატარეს და თავის მონიშნალმდევეებს თითქმის არ დაუტოვეს შანსი. სამსუხაროდ მათ თავდასხმაში ამ ბოლო დროს პრობლემები შეექმნათ. მწყობრიდან გამოვიდა მათი ორი თავდამსხმელი და ზედ ზედანის ორთამაშიანი დისკვალიფიკაციაც დაერთო. საფრანგეთის მთავარ მწვრთნელს ბევრი თავსატეხი გაუჩნდება შემდგომი თამაშებისათვის. გუნდმა ხომ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქროს და თუ ასე გაგრძელდა, საფრანგეთის ნაკრები შეიძლება თავდაშისმელების გარეშეც კი დარჩეს.

დანიის ნაკრები

პირველი უსახური თამაშის შემდეგ ყველას ეგონა, რომ დანიის ნაკრები ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გავიდოდა, მაგრამ მათ გუნდში ხომ ძმები ლაუდრუები თამაშობენ. როგორც ეტყობა, მათი ოსტატობა საკმარისია ამ გუნდის თუნდაც ერთბურთიანი გამარჯვებისათვის.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები

ეს გუნდი აფრიკის ჩემპიონია და მისგან ფუნბურთის სპეციალისტები ბევრს მოელოდნენ. სამსუხაროდ, მათი იმედები ვერ გამართლდა. სამხრეთ აფრიკის ნაკრები ერთ-ერთ უსუსტეს გუნდად წარმოგვიდგა წლევედელ გათამაშებაში. მათ ვერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი როგორც სამხრეთ აფრიკელი ფუნბურთიდან, ასევე ევროპული ფუნბურთიდანაც. თუ ისინი ამას მოახერხებენ, მაშინ მომავალ ჩემპიონატში სამხრეთ აფრიკის გუნდის სახით საკმაოდ ძლიერი გუნდი ეყოლება აფრიკის კონტინენტს.

საუდის არაბეთის ნაკრები

საუდის არაბეთი ყველაზე მდიდარი გუნდია მსოფლიო ჩემპიონატზე, თუმცა ფული რომ ყველაფერს შევლოდეს, ალბათ ქუვეიტის ნაკრები სულ მსოფლიოს ჩემპიონი იქნებოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, სათამაშო მინდორზე მხოლოდ ბურთის გორაობითაა შესაძლებელი სიძლიერის დამტკიცება, რაც დაამტკიცეს კიდევ საფრანგეთისა და დანიის გუნდებმა.

D ჯგუფი

ესპანეთის ნაკრები

სიმართლე ითქვას, ესპანეთის ნაკრებისაგან ბევრს მოველოდით. თითქოს პირველი თამაშშიც მათ კარგად დაიწყეს, დაწინაურდნენ კიდევ, მაგრამ სათამაშო ინიციატივა ხელიდან გაუშვეს და ყველაზე საჭირო დროს ნაიფორხილეს. როგორც ეტყობა, ესპანეთის თავდაცვის ხაზში უჭირს. მართალია მათ ჰყავთ ისეთი ფუნბურთელები, როგორებიც არიან რაული და კიკო, მაგრამ ისინი ჩემპიონატში აშკარად ფორმაში ვერ არიან. აქედან გამომდინარე გუნდში თუ გოლის გამტანი არ არის, ეს გუნდი ნაგების თუ არა, მოგების ღირსი ნამდვილად არ არის. ამას დაერთო სუბისარეგლას, მსუბუქედ რომ ვთქვათ, სუსტი თამაში. სწორედ მას შეიძლება დავაბრალოთ ნიგერიელებთან გაშვებული მეორე გოლის შემდეგ ესპანეთის ნაკრების ნაგება.

ნიგერიის ნაკრები

გუნდი, რომელმაც თავის ფიზიკურ მონაცემებს კარგად შეუხამა სამხრეთ ამერიკული და ევროპული ფუნბურთის სკოლების სტილი. სწორედ ევროპული სკოლის ათვისებამ შეუწყო ხელი ამ ნაკრების ასე ძლიერად თამაშს. მათი სათამაშო დისციპლინა უმაღლეს დონეზეა აყვანილი და თუ ასე გააგრძელებს, ისინი ბევრ პრობლემებს შეუქმნიან ჩემპიონატის უშუალო ფავორიტებს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ ფავორიტებში ისინიც გაერვიონ.

პარაგვაის ნაკრები

პარაგვაი მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ამბიციებით გამოვიდა. თუმცა თამაშებმა გავჩვენა, რომ მათი ესოდენ დიდი ამბიციები ძალზედ გადაჭარბებული აღმოჩნდა. მართალია, ისინი ტექნიკურ და ლამაზ ფუნბურთს თამაშობენ, მაგრამ ფუნბურთის თამაში ლამაზ ფინტებით რომ არ არის, კარგად მოგვსენებათ. მიუხედავად ამისა, მათ მიერ ბულგარელებთან გამართული მატჩი საკმაოდ უინტერესო ორთაბრძოლაში წარიმართა. ვერ გეტყვით, ეს ბულგარელთა უსახური თამაშის ბრალი იყო, თუ პარაგვაელებს არ ყოფნიდათ კლასი გამარჯვებისათვის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. იგი ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ნაკრებად წარმოგვიდგა წლევედელ გათამაშებაში. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ ამ ქვეჯგუფში ნიგერიის ნაკრების გარდა ესპანეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები ძალზედ სუსტად ასპარეზობენ.

გულბარეთის ნაკრები

სტიოჩკოვი და მისი გუნდი ჩემპიონატის დაწყების წინ ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებად მოიხსენიებოდა. როგორც აღმოჩნდა, ერთ დროს საკმაოდ ძლიერი გუნდი დღეს აშკარად საჭიროებს თაობათა ცვლას, რამეთუ ძველი ფუნბურთელები, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ ძირითად ბირთვს ნაკრები-სას, აშკარად მობერდნენ და მათ მიერ ნათამაშები თამაშების მიხედვით თუ ვისმჯელებო, მიზეზული შანსებიდა აქვთ ჯგუფიდან გასვლისა. რაოდენ სამსუხაროა ის ფაქტი, რომ ისეთი ფუნბურთელები, როგორებიც არიან ივანოვი, სტიოჩკოვი და სხვანი, ძალზედ სუსტად გამოიყურებიან. როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება ბულგარეთის ფუნბურთის ოქროს ხანა და თუ ბულგარეთის ფუნბურთის მამებმა რამე ექსტრემალური ღონისძიება არ ილონეს, ბულგარეთიც დაუბრუნდება იმ რიგითი გუნდების რიცხვს, რომლებიც მხოლოდ პერიოდულად თუ ავლენენ თავს



თქალსაზრისი

მრის გამთლიანების უამრავი რეკვიზი არსებობს, მათგან უმთავრესია პრეზიდენტობის კანდიდატა ფონდი

დავინცოთ იქდან, რომ დღეს საქართველოში ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისია. ამას ლიად, ტელევიზიაზე თუ პრესაში ხელისუფლებაც აღნიშნავს და ოპოზიციაც. რეალური ტენდენცია ამ მდგომარეობის შეცვრებისა და კრიზისიდან თავის დაღწევის არ ჩანს, პირადად, ეს კრიზისი ყოველნაირად ღრმავდება.

რა ვენათ, როგორ მოვიქცეთ? რით დავინცოთ პრაქტიკულად? დავინცოთ იმით, რომ ოპოზიციურად შევხედოთ ამ საკითხს. ქვეყანაში კრიზისიდან თავის დაღწევის უამრავი რეკვიზი არსებობს, რომელიც თითქმის არავითარ მატერიალურ დახმარებას არ მოითხოვს. საჭიროა სწორად იქნას წარმართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა.

სახელმწიფოს მარტო ხელისუფლება ვერ ააშენებს. მარტო ხელისუფლება ვერაფერს გააკეთებს (და თუ გააკეთებს მხოლოდ საზოგადოების საზიაროდ) საზოგადოების გარეშე აუცილებელია საზოგადოების გააქტიურება, რათა მისი როლი მნიშვნელოვნად ამაღლდეს ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ქვეყანაში ძალიან ძნელია საზოგადოების აქტიურობის გარეშე რაიმე დადებითი ძვრების მიღწევა.

დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელია იყოს ბალანსი: ძალაუფლება — საზოგადოება. სხვანაირად დემოკრატია ვერ იარსებებს. საზოგადოება ეს თვითიყოფილი ჩვენთაგანია ვართ.

საზოგადოება, მისი ნაწილები უნდა მოქმედებდეს როგორც ერთი ხელის თითები, ისინი უნდა ესმარებოდნენ ერთმანეთს, ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს ერთი მთავარი ფუნქციის შესასრულებლად, როგორცაა ეროვნული თანხმობა, ტერორიული მთლიანობა, ეკონომიკური აღმავლობა, კანონიერება, დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა (სხვათა შორის, ასევე უნდა იყოს ცენტრსა და რეგიონებს შორის, ამაზე უფრო ვსაუბრობდით).

დღეს საქართველოში საზოგადოება, ხელისუფლება გახლჩილია ცალკეულ ნაწილებად. ეს იქნება საპარლამენტო პოზიცია თუ ოპოზიცია, ხელისუფლება თუ არასამთავრობო ოპოზიცია, პოლიტიკური პარტიები, ცალკეული ჯგუფები, ცალკეული ლიდერები თუ პირივნები.

აღბათ სადაო არ არის, რომ დაპირისპირების მოგვარება, რითაც გაუღრმავდება დღეს მთელი საზოგადოება, ძალიან რთული, სათითო, ხანგრძლივი და სისტიმბატური პროცესია. მის გადასალახავად უამრავი ნინაღმდევრების დაძლევაა საჭირო. აი, აქ არის საჭირო საზოგადოების მობილიზება, თუნდაც იდგის არსებობა — როგორც მამოძრავებელი ძალისა, რომ აუცილებელია ეროვნული თანხმობის მიღწევა, რაც არ უნდა მძლი იყოს იგი.

რატომ არის ასე უპირველესი და აუცილებელი ეროვნული თანხმობა? სწორად იმტობ, რომ იგი დაქარაღმდეგავს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, ტერიტორიულ გამთლიანებას და მეურნეობრიობის აღორძინებას.

რით დავაჩქაროთ ეს პროცესი, რით დავინცოთ პრაქტიკულად?

პირველი: უნდა დაგვეთანხმოს დღევანდელი ხელისუფლებას, რომ ეროვნული თანხმობა უნდა იქცეს საშინაო პოლიტიკაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. უნდა შეიქმნას რაც შეიძლება ჩქარა, ეროვნული თანხმობის პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა პოლიტიკური გაერთიანებების, თუ საზოგადოების ჯგუფების საერთო შეხედულებები, აზრები, ამ საკითხის ირგვლივ განსასოცინებელი გზები. უნდა გათვალისწინებული იყოს ყველა პოლიტიკური პარტის, რომელიც რეგისტრირებულია იუსტიციის მიერ, მოსაზრებანი. რა თქმა უნდა, მათი რაოდენობა ძალიან ბევრია (75), მაგრამ ეს რეალობა, გასულ წელს 100-ზე მეტი პოლიტიკური პარტია იყო, ესე იგი მეორეხდითი შემვირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიების შემვირების თუ გაერთიანების ტენდენცია სახეზეა დემოკრატიის თანდათანობით დაპყვრება ქვეყანაში, თანდათანობით შეამცივებს მათ რიცხვს და აბრათ უახლოეს მომავალში 5-6 პარტია დარჩება.

იცით ერთ-ერთი მიზეზი საქართველოში ამდენი პარტიების არსებობისა რა არის რეალურად? ის, რომ დღეს ხელისუფლების გარეშე და საერთოდ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ჩაბმის გარეშე

დარჩენილი უამრავი მოაზროვნე, მალალისტული, მალალური, მალალური სონალა, ზნეობრივი, გონიერი, ბრძენი, გამოცდილი, ენერგიული, ორგანიზაციული ნიჭის მქონე ადამიანები, რომლებმაც ქვეყანაში შექმნილი სიტუაციების შედეგად ვერ შეძლეს თავისი თავის რეალიზება, სწორედ ეს ადამიანები — ჩვენი ქვეყნის ფასდაუდებელი საუნჯე — თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად ერთიანდებიან სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში.

იკვებება ტენდენცია, რომ დღეს ქვეყანაში საკადრო ვაკუუმის დროს ხელისუფლება თავას ხუჭავს და ქვეყნის მშენებლობაში არ რთავს უამრავ ასეთ ადამიანს.

რა თქმა უნდა, თავისთავად ეს სიტუაცია ინვესს უთანხმოებასა და დაპირისპირებებს საზოგადოებაში. დღეს საქართველოში არც ერთ, ასე თქვათ, „პროპორული“ პოლიტიკური პარტიებში არ არის თავმოყრილი და ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნია, საკმაო ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მიძიმე პირობებში, დამოუკიდებლად თავს გაართმევენ სახელმწი-

ნოფოს მშენებლობის, შეიძლება ასეთი იდეოლოგიით ცხოვრება? ქვეყანა ხომ ხალხმა და მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა უნდა მართონ და ასეთი ადამიანები საბედნიეროდ დღეს ბევრი და ბევრი არიან საზოგადოებაში გაფანტულნი, დამრწმუნეთი, ეს ასეა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რაღა გვაქვს სალაპარაკო? გადაგვშენებულვართ და ის არის.

ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისცეს ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ რა გაიანჯტა გვაქვს, რომ არ მოხდეს რაიმე გაუთვალისწინებელი (ავადმყოფობა, კატასტროფები, თუნდაც ტერორი) და ვერ შესძლოს სახელმწიფოს მართვა. ყველგან და ყველგან უნდა იყოს გარანტია, დამცავი მექანიზმი (მხედველობაში არ შევაქვს დღეს კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმი, რომელიც ჩემი აზრით, არასაკმარისია), თორემ საზოგადოებაში „ერთი კაცის იდეოლოგია“ ინვესს ხალხის გათიშვას, გაპასურობას, ახალი აზრების, ახალი იდეების, ახალი პროგრესული მოქმედებების ბლოკირებას, ხალხის დაბნევას, მის შეცდობაში შეყვანას და მისი ყურადღების მოღუნებას. ამით ხალხს მოეუწოდებთ უმოქმედობისკენ, უსუსურობისკენ, საკუთარ თავში რწმენის დაკარგვისკენ.

პირადად, უნდა შეიქმნას ვ. ნ. პრეზიდენტობის კანდიდატა ფონდი. ფართო საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას კონსერვატი, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მომავალი პრეზიდენტი. სხვათა შორის, პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქალთა დაცვის კავშირს“ ორი წლის წინათ დაიწყო ასეთი გამოკითხვები საზოგადოებაში, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ეს გამოკითხვები შეჩერდა, პრინციპში შესაძლებელია მისი განახლება.

ჯერ კიდევ ორწლიანდახევარია დარჩენილი პრეზიდენტობის არჩვენებამდე. ამ პერიოდში ბევრი ადამიანი შეეცდება თავის თავის სრულყოფას, უფრო მეტად, ქვეყანაში უნდა შეიქმნას პირობები, სპეციალურ პროგრამაზე, რომ დავებოშროს მოტივით ადამიანებს პრეზიდენტობის კანდიდატებად გახდო-მამი.

დამერწმუნეთ, ასეთი ადამიანები ბევრა საზოგადოებაში დღეს, აქ საქართველოში, თუ დროებით ცოდნის მისაღებად საზღვარგარეთ ნასულები. დარწმუნებული ვარ ისეთი ახი, ორასი, სამასი კაცი თავისუფლდება საქართველოში, რომელიც კონსტიტუციური მოთხოვნებს შეესაბამება ამ მიმართებით.

მათ უნდა მიეცეთ საშუალება, შეიქმნას პირობები მათი ღირსეული წარმომარტვისა, მათი შესაძლებლობების გამომულავენებისა და არა მშინვე ხელისუფლების მხრიდან შანტაჟის ნიღავი, რისხვა და ცილისმამებლური მანქანის ამუშავება.

აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, თუკი ასეთი პირობები შეიქმნება და დღევანდელი კრიზისიდან გამომდინარე აღბათ აუცილებლად უნდა შეიქმნას, მხოლოდ „ერთი კაცის“ იდეოლოგია არ იბატონებს, მაშინ საზოგადოების უმრავლესობა დაკავებული იქნება ღირსეული წარმომადგენლების წარმოჩინებით, ხელის მშეყვებით, დაინწყება პოტენციური ადამიანების — პრეზიდენტობის კანდიდატების სახელმწიფოს აღმშენებლობაში აქტიური ჩაბმას, ხალხისათვის ყოველივე სასკითხოს ქმედებაში თავის დადება, დაინწყება ქველმოქმედება დიდი მასშტაბებით. აი, აქ უნდა ვეძებოთ კორუფციის შემცირების რეალური გასაღები, მაგრამ ყველგან შეიძლება მისი არის, რომ ირყევა და შესუსტდება გარე ძალების დასაყრდენი და აღარავის დასჭირდება მოქმედი პრეზიდენტის წინაღედ ტერორისტული აქტების ჩატარება, რადგან ამ აქტების ალტერნატივა იარსებებს: საზოგადოებაში ღირსეულად თავის წარმოჩენას, ხალხის წინაშე დასასჯურება და მომავალ საპრეზიდენტო არჩვენებებში მონაწილეობის მიღება.

დამერწმუნეთ, ერთი გამთლიანებისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე ეს დიდად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ნარაიჩი ვაჯია

პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირს“ თავმჯდომარე ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, გაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს ტერიტორიულ სტრუქტურებთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი

დიდგორის როგორ „დაატრიალებთ“, თუ ხალხს არ ეტყვიან, რა არის დიდგორი...

მაცხრა გავრდიდა

ლი (დაკარგული ქართული მინაწილის კენესა, გამინვა ჩვენი მამაბაბის, წინაპრების სულსხაც აშფოთებს, არ „სვენებს), მაგრამ ხომ ცაც და ქვეყანაც ხედავს, რომ თქვენ დღეს ახალი დიდგორის „დაატრიალებლემ“ არა ხართ. აშკარაა, რომ ქართველი მეომრების უმრავლესობამაც არაფერი იცის დიდგორის ომის თაობაზე ქართული ჯარის შესვეურების უმრავლესობა ხომ ფულის კეთებაზე ფიქრობს და არა ეროვნულ, საქართველოს ტკივილებზე! დავით აღმაშენებელი და მისი თანამოაზრეები დღევანდელი ხელისუფლებისგან სრულიად განსხვავებულად უდგებოდნენ საქართველოს ჯერ გადარჩენს,

უფრო შესაფერის ხალხს მიანდეთ (რაკი დიდგორის „დაატრიალებათ“ უკიდურესად კრიტიკულ მომენტებში მაინც ოცნებობთ, მაშინ მაინც გახსენდებთ დიდგორი, ისიც გაიხსენეთ, რომ დავით აღმაშენებლის მამამ, სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მიხვდა რა, რომ ქვეყნის გადარჩენა არ შეუძლო, საქართველოს ბედი დავითს და მის თანამოაზრეებს მიანდო). დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შთამომავლობა არ გაამატიებთ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ცოტნე დადიანის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა და სხვათა სულით გაცისკროვნებული სამშობლოს გადაგვარებას, დასამარებას (უძღურების, უსუსურო-



Photo News

ხლო შემდეგ გაძლიერების დიად საქმეს მათ სულ სხვაგვარი გზებით შეამზადეს დიდგორის ტრუფეი, ძღვევი საკვირველი. უწინარეს ყოვლისა, ქართველს ქართული სული შთაბერეს, აღუდგინეს!

ბატონო პარლამენტარებო, ბატონო ხელისუფლებო! თუ ოდნავ მაინც შეგრჩათ ქართული სული და საღი აზრი, ეცადეთ დღეიდან მაინც დაინცოთ ეროვნული საქმის კეთება თავიდან, ნულიდან, რათა ქართველმა ხალხმა, დიდმა და პატარამ, ერთმა და ბერმა დაიბრუნოს თავისი ეროვნული სახე. სხვანაირად ჩვენი ქვეყანა დასაღუბადაა განწინებული, არავითარი ექსპერმენტი (თუნდაც საზღვარგარეთული ექსპერტებისგან ნაკარნახევი) მას ვერ უშველის. თუ ბუნებით ინტერნაციონალისტები ხართ (ყოფილ კომუნისტებს ეს არც გაუქმტყუნებიათ) და ეროვნული საქმის კეთება, მით უმეტეს, მისი დაწყება ზაზაღთის ოქროს აკვანში ჩანვენილი ყრმის აღზრდით არ გებერებათ, კეთილი ინებეთ და საქართველოს მოვლა-პატრონობაზე, მესვეურობაზე უარი განაცხადეთ, ეს საშვილიშვილი საქმე საამისოდ

ბის ასალიარებლად შეიძლება ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მაგალითიც გამოავადეთ დაავაკცებულ გიორგის ფილოსოფიის შესწავლა განუზრახავს, მაგრამ მას, თურმე, ამის უნარი არ აღმოაჩნდა — „დაუტევა სწავლა და ესე რტყოდა: „არა შესმის ესე, ვნაყავ წყალსა“. ღმერთმა გაშროთ გიორგი XII-ის ბედი — ზაჩუჩამიას და საქართველოს უკანასკნელი პარლამენტარის, უკანასკნელი ხელისუფლის სახელი, ეს ხომ საქართველოს უბედურებაა). სასწრაფოდ ის მაინც გააკეთეთ, რომ მოემტყუნეთ ქართველი პატრიოტები და ჩააბით ეროვნულ საქმეში. იმედია, ისინი ღარიბული სადილებითაც იტვირთავენ ეროვნულ ტვირთს, შესარულევენ შავ სამუშაოს საქართველოს გადასარჩენად, ახალი დიდგორის შესამზადებლად. ამგვარი სამუშაო რომ ძალზე ბევრი დაგროვდა და გადადებს ვერ ითმებს, თუ ამასაც ვერ ხვდებათ ამ არ აღიარებთ, მაშინ უკვე მთლად დავლუშლავთ და ეგ არის!

ალექსანდრა ავაღააპა

კანონი

გავითის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ ქანონბიზა ბპაწიას წერილს სათაურით: „დღეს საქართველოს მისახლენობა მზად არ არის დემოკრატული, თავისუფალი, პატიოსანი არჩვენების ჩასატარებად“.

წერილის ძირითადი თეზისებია: — საჭიროა საზოგადოების მომზადება არჩვენებისათვის; — მისახლენობის უმრავლესობას პიროვნების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. საჭიროა ხელისუფლებამ აუცილებლად გამონახოს საშუალება ან სთხოვოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა დაფინანსდეს მოსახლეობის პიროვნების დამადასტურებელი საბუთის უსასყიდლოდ უზრუნველყოფა — კონსტიტუციაში და პარლამენტის არჩვენების კანონში შესატანია შესწორებები ან დამატებები 5%-იანი ბარიერის შესახებ. — საპარლამენტო არჩვენების შედეგად პარლამენტის ლეგიტიმიზაცია უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი მასში არჩეული იქნება ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით (5%-ზე მეტი) არჩეული წარმომადგენლობა. — დღევანდელი პარლამენტი არადემოკრატიულია. მასში პრობორციული მეთოდით ამომრჩეველთა უმრავლესობის ინტერესების გამოხატველი და დამცველი წარმომადგენელი არა ჰყავს.

ტოტო-ლოტო

გოგო-ლოგო მოყვარულთა საუკაღებოდ!

კვირას, 21 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმსლები თამაშით „სუპერ-7“-ის ტირაჟის მეშვეობით გათამაშება.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის მკვლევარ-პუბლიცისტური ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (სალამოს)

- 1. სამართალმცოდნეობა (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. ავტობიოგრაფიული ემსარტი
3. საბავარო უწყებათა მოსახურება
4. ფინანსები და კრედიტი (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაუო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვეო საქმე)

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელი. საბუთები მიიღება 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

კეკელიძის განთავსების საუკაღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებას. რეკლამა კეთდება უმჯობესიან ფასზე.

კროსვორდი

Table with 6 columns and 34 rows for crossword puzzle. Some cells contain numbers like 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34.

ერთეული პოლონეთში; 23. კვესის თანმსლები სწრაფაღებუადი ნივთიერება; 26. ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომლის სახელის მთავრაც, თბილისში, შენდებდა საკათედრო ტაძარი; 29. მრავალწლოვანი ბალახი, ხმარობენ დასანაწავად; 31. უნივერსიტეტის ან სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელი; 32. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი; 33. თიხის ან მინის ცილინდრული საოჯახო ჭურჭელი; 34. საბანაო დიდი მომინანქრებული ჭურჭელი.

თარგმნალი: 2. ლითონის მრგვალი ან ოვალური ნიშნის ფორმის ქუდზე; 7. საღებავი სახმარი ხის ფისი; 8. ვინრო და გრძელი ანაბეჭდი; 9. საქმეებისა და დოკუმენტების აღსარუცი დაფთარი; 10. მღერი, კანის გადამმედი სწულეზა, ქავილით; 12. დანოტიეზული ფქვილი; 15. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 18. შავი ფისი, მიღებული ხის, ტორფის, ქვანახშირის მშრალი გამოსდით 19. სიტყვაწყობილი პოეტური წინარმოებე; 20. აღვირის მორთულობა, ოქროსი ან ვერცხლისა; 21. გამომწვარი ალიზი; 22. ფულის მაულ მითოლოგიაში; 13. ლექციის წამკითხველი პირი; 14. ძველეგიპტური ღმერთი, საიტოს ხელმწიფე; 15. არაბული სახელმწიფო აზიაში, რესპუბლიკა; 16. ხარების გამრევი ბიჭი; 17. გამოუნვაი თიხის სწორკუთხა სამშენებლო ფილა; 24. ტრანსპაზა, მკვეხარა; 25. ტარზე დამაგრებული ქსოვილი რაიმე სიმბოლიკით; 27. სსწარში გაუხსნელი ნაწილაკების ფსკერზე დაძირული ფენა; 28. ერთმხიანი ლირიკულ-დრამატული პარტია ოპერაში; 29. სასამელისათვის განკუთვნილი მინის ჭურჭელი; 30. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

წინა ნომარი გამოქვეყნებული კროსვორდის (№ 44) პასუხები

თარგმნალი: 1. ტოსტი; 4. რეკორდი; 5. დუმფარა; 9. ოპერა; 10. სირაჯი; 12. ხაზინა; 13. ალერგია; 14. აბრა; 16. ოხრა; 18. ხვია; 20. კუნძი; 22. ხიდი; 24. მაგისტრალი; 25. მარკეტინგი; 27. ირაო; 29. ალაფი; 30. იონი; 32. სილა; 34. აზია; 36. ხაროსხი; 37. ავანსი; 38. ალმასი. 39. ბრაზი; 41. ათინათი; 42. სასმისი; 43. ეტიმი.

გაზეთი „საქართველო“ კომუნიკაციური ცენტრი გთავაზობთ

გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, ბუკლეტების დაკაბადონებას. ეტაკეტების (ფერდაყოფა), სარეკლამო პროსექტების და სხვა პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადებას.

საკვარელ სალომე (ბუზუნა) ძაძამიას ულოცავენ დაბადების დღეს იზო ბუბია, ვაჟა ბაბუა.

განსხვავებუნი

იყიდება ასაწყობი ბუხარი. ფასი 250 დოლარი. რკინის კარადა. ფასი 150 ლარი. ტელ.: 32-62-04 თამაზი.

იყიდება კერძო სახლი ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით ეზოში, მის: პიონერის ქ. № 46. ნაძალადევის რ-ნი. კომისარიატთან ახლოს. ფასი 13000 დოლარი. ტელ.: 32-62-04 თამაზი.

ვატრავებ ბინას გ. რჩეულიშვილის მე-2 კორპუსში, 1 სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა 1. 1 ოთახიანი ბინა სამი საძინებლით, ახალი დამთავრებული ფერო-მონით, ორი ღია აივანი, ავეჯით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 23-22-63, 29-21-77 დარეჯან ხიდაშელი.

ვატრავებ ბინას გ. რჩეულიშვილის მე-2 კორპუსში, 1 სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა 1. 1 ოთახიანი ბინა სამი საძინებლით, ახალი დამთავრებული ფერო-მონით, ორი ღია აივანი, ავეჯით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 23-22-63, 29-21-77 დარეჯან ხიდაშელი.

მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

ტელეფონები: რედაქტორი: 93-20-36, რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპალინის ქ. 5 გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიკი რედაქცია: ანა ჯუღელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომპიუტერი დირექტორი), ნუგზარ კობლაშვილი (გერეკლების სამსახური), კორნელიანი მამია

ვატრავებ ბინას გ. რჩეულიშვილის მე-2 კორპუსში, 1 სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა 1. 1 ოთახიანი ბინა სამი საძინებლით, ახალი დამთავრებული ფერო-მონით, ორი ღია აივანი, ავეჯით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ.: 23-22-63, 29-21-77 დარეჯან ხიდაშელი.

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიკი რედაქცია: ანა ჯუღელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომპიუტერი დირექტორი), ნუგზარ კობლაშვილი (გერეკლების სამსახური), კორნელიანი მამია